



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 13-14 დეკემბერი, 2023 წელი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 14 თებერვალი, 2023 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანუ ანნა ჯოსანი QFBA ნორთუმბრიის უნივერსიტეტი, ყატარი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	იოსებ ბერიკაშვილი შპს კავკასიის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი შპს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მითითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ეკონომიკა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	ეკონომიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	მეშვიდე საფეხური (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ეკონომიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0311 - ეკონომიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი პროგრამა
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მითითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში მიზნად ისახავს მოამზადოს კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ თანამედროვე ეკონომიკის თეორიის, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის ცოდნას. პროგრამა 2 წლიანია (4 სემესტრი) და ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსების კრედიტებს. სასწავლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 120 კრედიტს, აქედან 16 სავალდებულო და 12 არჩევით კურსს, აქცენტს აკეთებს თეორიულ ცოდნაზე, პრაქტიკულ უნარებზე ეკონომიკის კვლევებსა და საქმიანობაში, სადაც 30 ECTS სამეცნიერო კვლევის კომპონენტზე არის გამოყოფილი (სამაგისტრო ნაშრომი). პროგრამის სავალდებულო კურსები - 105 კრედიტი, მათ შორის: პროფესიული პრაქტიკა - 5; სამაგისტრო ნაშრომი - 30. პროგრამის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი. ერთი სასწავლო სემესტრი შედგება 19 კვირისგან, რომელთა შორის: 16 კვირა არის სასწავლო, VIII კვირა ეთმობა შუალედურ გამოცდას, XVII კვირა არის დასკვნითი გამოცდისთვის, ხოლო XVIII-XIX კვირა ეთმობა დამატებით გამოცდებს საჭიროების შემთხვევაში. 2024 წლისთვის დაგეგმილ პროგრამას აქვს განსაზღვრული სასწავლო ფაკულტეტი და ინფრასტრუქტურა და ფინანსდება უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტიდან. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების მომზადებას სხვადასხვა სახის დასაქმებისთვის, რაც მოიცავს სამთავრობო ორგანოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, საკონსულტაციო ფირმებს, ბირჟებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ანალიტიკურ ცენტრებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს და შემდგომ აკადემიურ საქმიანობასაც კი.
- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ამ პროგრამის შემფასებელმა აკრედიტაციის პანელმა ზედმიწევნით განიხილა თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები, ვრცლად გააანალიზა დამადასტურებელი მტკიცებულებები და დოკუმენტაცია. შემდგომში, 2023 წლის 5 და 11 დეკემბერს ჩატარდა ორი ონლაინ შეხვედრა, სადაც განიხილეს ადგილზე ვიზიტისათვის მომზადების პროცესში გამოვლენილი პირველადი საკითხები. ვიზიტი შედგა 2023 წლის 13 და 14 დეკემბერს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, თბილისში. ადგილზე ვიზიტის დროს ზედმიწევნით განხორციელდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის შეფასების დეტალური გრაფიკი. დღე დაიწყო მოსამზადებელი შეხვედრით, რასაც მოჰყვა შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მათ შორის რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან. შემდგომში ჩატარდა შეხვედრები თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან, თითოეული სესია ეძღვნებოდა პროგრამის სხვადასხვა ასპექტს და პასუხისმგებლობებს. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრებს ესწრებოდნენ დეკანი, დეკანის მოადგილე, პროგრამის ხელმძღვანელი. შეხვედრას დამსაქმებლებთან/ დაინტერესებულ მხარეებთან ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მინისტრის მოადგილე, რამაც ხაზი გაუსვა პროგრამის დამსაქმებლის მხრიდან ჩართულობის ფართო სპექტრს. მეორე დღის განრიგი მოიცავდა

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

შეხვედრებს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და შემდგომ მსჯელობას ძირითად მიგნებებზე, რომელიც დასრულდა ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრით და მოკლე შემაჯამებელი შეხვედრით, სადაც უნივერსიტეტის გუნდს გააცვნიეს მიგნებების მოკლე მიმოხილვა.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა ავლენს მტკიცე ვალდებულებას უზრუნველყოს ყოვლისმომცველი და მაღალი ხარისხის სწავლება. პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ეკონომიკაში, რომლებიც ფლობენ თანამედროვე ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური დიპლომატიის და პრაქტიკული კვლევის უნარების ღრმა ცოდნას. სავალდებულო და არჩევითი კურსების, პროფესიული პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის ჩართვა სასწავლო გეგმაში მას სიღრმესა და პრაქტიკულობას მატებს, რაც ხელს უწყობს სრულყოფილ განათლებას. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მიუთითებს ზოგადად დადებით შეფასებაზე სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების თვალსაზრისით, პროგრამა მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, თუმცა კონკრეტული რეკომენდაციებია შემუშავებული პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, ასევე სასწავლო კურსი/ საგანი ასევე შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება ავლენს ზოგად შესაბამისობას, საყურადღებოა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და სწავლება-სწავლის მეთოდების ძლიერი მხარეები. სტუდენტთა შეფასება მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა წარმოადგენს ძლიერ მხარეს, ადამიანური რესურსები, მატერიალური რესურსები და ბიუჯეტი/ ფინანსური მდგრადობა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები ავლენს შესაბამისობას ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე შეფასებაში. საერთო ჯამში, საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტებთან, ზოგი სფერო მეტწილად შესაბამისობაშია, რაც ხელს უწყობს მის საერთო დადებით შეფასებას.

- რეკომენდაციები

სტანდარტი 1.3.

- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი უნდა შეიცვალოს და მასში უფრო მეტად იქნეს წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები სამაგისტრო ნაშრომების სათანადო შეფასებისთვის.

სტანდარტი 2.3

- საჭიროა უფრო დეტალური ინფორმაცია გამოკითხვების, მონაცემთა ანალიზის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ბენჩმარკინგის პროცესების შესახებ. იმის ჩვენება, თუ როგორ ასახავს ეს შედეგები სწავლების მეთოდის გაუმჯობესება, აგრეთვე დაინტერესებული

მხარეების შეფასებებში ჩართვა, გაზრდის პროგრამის ეფექტიანობას. ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურირებული ჩარჩოს დანერგვა, კურსის შეფასების მექანიზმების ფორმალიზება და უკუკავშირის გაუმჯობესება გაზრდის უკუკავშირის სისტემების ეფექტურობასა და სანდოობას.

სტანდარტი 2.4

- აუცილებელია სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ შეფასების გასაჩივრების შესახებ, ასევე ინფორმაცია პლაგიატზე და უნივერსიტეტის დებულებაზე პლაგიატთან დაკავშირებით.

სტანდარტი 4.5

- უნივერსიტეტმა დროულად უნდა შეიძინოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა ეკონომეტრიული კურსისთვის ან შეარჩიოს სხვა უფასო პროგრამა ეკონომეტრიული სწავლებისთვის და ამის შესაბამისად მოამზადოს კომპიუტერები სასწავლო პროცესისთვის, ასევე შეცვალოს სილაბუსები.

სტანდარტი 5.3

- უზრუნველყოფილ იქნას მაგისტრანტების მერ სამეცნიერო კვლევის კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელების შეფასება.
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სტანდარტი 1.1

- გააფართოვეთ ბაზრის კვლევის ფარგლები, რათა ჩაუღრმავდეთ ეკონომიკის სფეროს კონკრეტულ მოთხოვნებსა და ტენდენციებს. გაცდით ზოგად გამოკითხვებს და შეაგროვეთ დეტალური ინფორმაცია ბაზრის მოთხოვნებისა და პროგრამის პოპულარობის სირთულეების შესახებ, რაც შესაძლებელს გახდის უფრო მიზანმიმართული სასწავლო გეგმის შემუშავებას.
- დახვეწეთ პროგრამის დოკუმენტაცია, რათა უფრო ნათლად წარმოაჩინოთ მისი წვლილი ეკონომიკის სფეროსა და საზოგადოებაში. მკაფიოდ აჩვენეთ, თუ როგორ პასუხობს პროგრამა ეკონომიკური ლანდშაფტის ფარგლებში გაჩენილი შესაძლებლობების გამოყენებისას არსებულ აწმყო და სამომავლო გამოწვევებს.
- შეუსაბამეთ პროგრამა უნივერსიტეტის მისიას და ხაზი გაუსვით მის როლს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის დისციპლინური და კულტურათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობაში. წარმოაჩინეთ ის შემთხვევები, როდესაც პროგრამა ხელს უწყობს ინოვაციას, ინტერნაციონალიზაციას და მრავალფეროვნებას დაწესებულების შიგნით.
- ხელი შეუწყვეთ შრომის ბაზრის დაინტერესებულ მხარეების ფორმალურ და ინკლუზიურ ჩართულობას. მოითხოვეთ მათი უკუკავშირი და შეხედულებები პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დახვეწისა და გადასინჯვის მიზნით. დარგის დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართვით, პროგრამა შეიძლება უფრო მეტ შესაბამისობაში მოვიდეს ბაზრის მიმდინარე საჭიროებებსა და დარგის მოლოდინებთან.

სტანდარტი 1.2

- შეფასების მიგნებებში ხაზი გაესვა ეკონომიკური თეორიების უფრო პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობას, რაც გამოიწვევს საქმის შესწავლისა და მოდელირების დანერგვას და ინტენსიურ გამოყენებას რეალურ სამყაროში.

სტანდარტი 1.3

- ძალზე სასურველია თანამედროვე ეკონომეტრიული მოდელების ან პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება ეკონომიკური მოდელირების სემინარებში. ასეთი მიდგომით შემუშავებულ სასწავლო პროგრამას შეეძლება განვითარდეს დარგის ცვლილებებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს უკეთეს სწავლის შედეგებს და პრაქტიკულ გამოყენებას სტუდენტებისთვის.
- სტუდენტთა კმაყოფილების შესაფასებლად ანონიმური ონლაინგამოკითხვების გამოყენება და შემეცნების სწავლების შემდგომი მეთოდის განხორციელება ღირებულ პრაქტიკას წარმოადგენს. ეს გამოკითხვები კარგად ზომავს სწავლების მეთოდების ეფექტიანობას წინასწარ განსაზღვრული სასწავლო მიზნების მისაღწევად და გვთავაზობს ღირებულ უკუკავშირს მუდმივი განვითარებისთვის.

სტანდარტი 1.4

- მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი გვთავაზობს კლასგარეშე აქტივობებს, დარგთან დაკავშირებული ვიზიტების არარსებობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტებს სრულყოფილად დაეუფლონ მასალას.
- ფაკულტეტის წევრებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების კულტურის ხელშეწყობა, როგორც სწავლებისა და სწავლის კოლეგიალური შეფასება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კოლექტიური ზრდისა და ჩვენი საგანმანათლებლო სტანდარტების გაუმჯობესებისთვის. ღია დისკუსიების, სემინარების ან ფორუმების ხელშეწყობა საშუალებას მისცემს ფაკულტეტს გაიზიაროს წარმატებული სწავლების სტრატეგიები, ინოვაციური ტექნიკები და გამოცდილება, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ჩვენი საგანმანათლებლო პრაქტიკა.

სტანდარტი 1.5

- პროგრამისთვის კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი დაიწყებს ქართულენოვანი ლიტერატურის მომზადებას პროგრამის კურსებისთვის.
- პროგრამის სტუდენტებისთვის მიწოდებული სასწავლო მასალა უნდა შეესაბამებოდეს მათ ენობრივ უნარებს.
- უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო პროგრამაში გამოყენებული ლიტერატურის სამაგისტრო დონესთან შესაბამისობა.

სტანდარტი 2.1

- იმისთვის, რომ მომავალი სტუდენტებისათვის მოთხოვნები ცხადი იყოს, ჩვენ მოგაწოდებთ სპეციალობის ტესტის ნიმუშს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ვებსაიტზე.

სტანდარტი 2.2

- გარკვეულწილად უნდა გაუმჯობესდეს სამეცნიერო/ კვლევითი მიმართულება, რაც ასევე აუცილებელია სამაგისტრო განათლებისთვის.

სტანდარტი 2.3

- უნდა დაინერგოს რეგულარული საფაკულტეტო ვორქშოფები, რომლებიც რეალურ სამყაროში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებს ასახავს კურსებში. სწავლების სტრატეგიების გაღრმავება და პერიოდული ტრენინგების საშუალებით სფეროს სტანდარტებთან მათი შესაბამისობა გაზრდის პროგრამის პრაქტიკულ აქტუალობას და განახლებს სწავლების მეთოდებს.
- შეტანილ იქნეს სასწავლო პროგრამაში ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ დებატები და შემთხვევის შესწავლა, ჩატარდეს საფაკულტეტო ტრენინგები ამ დისკუსიების ეფექტიანად მოდერაციისთვის და წახალისებულ იქნეს სტუდენტების მიერ წარმართული დისკუსიები სწავლაში ჩართულობისა და ავტონომიურობის გასაძლიერებლად.
- სტუდენტებს თბილი და არაფორმალური ურთიერთობა აქვთ პერსონალთან, რაც კარგია აღმზრდელობითი გარემოს გასაუმჯობესებლად, თუმცა, შეფასებების ობიექტურობის გასაძლიერებლად საჭიროა სტუდენტებთან ფორმალური კომუნიკაციის არხების დამყარება შეფასების კრიტერიუმებთან, ანტიპლაგიატის (თუ პლაგიატის საწინააღმდეგო?) პოლიტიკასთან და მოლოდინებთან დაკავშირებით.
- ხელი შეეწყოს ფაკულტეტის წევრებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების კულტურას, როგორცაა მაგალითად სწავლებისა და სწავლის ურთიერთშეფასება, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი საგანმანათლებლო სტანდარტების ზრდისა და გაუმჯობესებისთვის. ღია დისკუსიების, სემინარების ან ფორუმების წახალისებამ, სადაც ფაკულტეტს შეუძლია გაიზიაროს წარმატებული სწავლების სტრატეგიები, ინოვაციური ტექნიკა და გამოცდილება, შეიძლება მნიშვნელოვნად გაამდიდროს ჩვენი საგანმანათლებლო პრაქტიკა.

სტანდარტი 3.1

- სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი დრო დაუთმოს პრაქტიკული სამუშაოს დახვეწას და შესთავაზოს იგი სტუდენტებს.

სტანდარტი 4.2

სასურველია, უნივერსიტეტმა მხარი დაუჭიროს აკადემიურ პერსონალის უნარების ამაღლებას ეკონომიკური კვლევის პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით.

სტანდარტი 4.5

- პროგრამის ბიუჯეტში მითითებული უნდა იყოს ყველა ხარჯი, პროფესორთა საათობრივი ხელფასის ჩათვლით.

სტანდარტი 4.4

- უზრუნველყავით, რომ ბიბლიოთეკამ იმუშაოს უნივერსიტეტის წესების შესაბამისად.
- კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი ყველა აუდიტორიისთვის პროექტორს ან სმარტ-დაფას შეიძენს.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

არ არის მითითებული

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

არგუმენტირებული პოზიცია პირველი რეკომენდაციის რჩევად გადაკეთებასთან დაკავშირებით - სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი უნდა შეიცვალოს და მასში უფრო მეტად იქნეს წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები სამაგისტრო ნაშრომების სათანადო შეფასებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი მოითხოვს, რომ ეს რეკომენდაცია დარჩეს რეკომენდაციად, შემდეგი მიზეზების გამო. ნაშრომის შეფასების ზოგადი კრიტერიუმი განსაზღვრულია, თუმცა შეფასების კრიტერიუმების სპეციფიკის საჭიროების ხაზგასმა, ისეთის როგორცაა კვლევის სიღრმე, კრიტიკული ანალიზი და ორიგინალური წვლილის შეტანა დარგში, შეფასებას უფრო დამაჯერებელს გახდის. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ კარგად განსაზღვრული შეფასების ჩარჩო შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის მოწინავე აკადემიურ ხასიათს, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო საქმიანობის უფრო მაღალ სტანდარტს. ამიტომ, არსებული სისტემის გასაუმჯობესებლად, ცვლილება მიზნად უნდა ისახავდეს მკაფიო და დეტალური კრიტერიუმების ჩართვას, რომლებიც ასახავს მაგისტრატურის დონეზე მოსალოდნელ სიღრმესა და სირთულეს. შეიძლება ითქვას, რომ შეფასების მტკიცე ჩარჩო გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მაგისტრატურის დონეზე კვლევის, ანალიზისა და საერთო აკადემიური სიმკაცრის საფუძვლიანი შემოწმების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტის პოზიცია მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მოწოდებული არგუმენტების გათვალისწინებით, გონივრულია, რადგან სილაბუსებში უკვე მითითებულია, რომ სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ქართულ ან ინგლისურ ენებზე, რაც შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ საჭირო მასალები. ეს მიდგომა აღიარებს, რომ პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს სხვადასხვა ენობრივი უნარები აქვთ. გარდა ამისა, დამატებით ლიტერატურაში გათვალისწინებული მოქნილობა, კერძოდ ის, რომ მასალები სხვადასხვა ენაზეა ხელმისაწვდომი, ემთხვევა სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებზე ადაპტირების პრინციპს. ეს მოქნილობა ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, ხელს უწყობს ინკლუზიურობას. ამიტომ, უნივერსიტეტის პოზიცია ამ კუთხით არის გონივრული, ხელს უწყობს ადაპტირებასა და ინკლუზიურობას. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ამ პოზიციას და გადააქვს ეს რეკომენდაცია კარგად დაბალანსებული და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის რჩევად.

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

უნივერსიტეტის პასუხი სხვა რეკომენდაციებზე მიღებულია და მოწონებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ არის მითითებული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანი მომდინარეობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან, რაც ითვალისწინებს უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული საუნივერსიტეტო განათლების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას, მაღალი ზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის (ნაწილი 1.1, გვერდი 4, თვითშეფასების ანგარიში). პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ბაზრის მოთხოვნებს და დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებს. ისინი მოიცავს ღრმა, სისტემურ ცოდნას თანამედროვე ეკონომიკის თეორიაში, პოლიტიკასა და დიპლომატიაში; პრაქტიკული საქმიანობისა და ეკონომიკური კვლევის დამოუკიდებელი განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს; და კვლევის შედეგებისა და დასკვნების წარმოდგენის უნარს აკადემიური სტანდარტების შესაბამისად (ნაწილი 1.2, გვერდი 5, თვითშეფასების ანგარიში).

პროგრამის მიზნები გადმოტანილია კურიკულუმში პროგრამის სტრუქტურის, სასწავლო გეგმის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შედგენის გზით. თითოეული კურსისთვის გამოყენებული სწავლების მეთოდები მოიცავს ლექციებს, სემინარებს, სამაგისტრო ნაშრომს, მოხსენებას, ესეს და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზანი შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ მისიას, ანუ საზოგადოების ინტელექტუალური, მორალური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, კვლევა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებიც ფლობენ წარმატებული კარიერისთვის აუცილებელ ცოდნასა და უნარებს, პროფესიულ ქცევას და ეთიკურ სტანდარტებს. დოკუმენტში ცალსახად არ არის ნახსენები დაწესებულების სტრატეგიული გეგმა, მაგრამ ის გულისხმობს, რომ პროგრამა შეესაბამება აკადემიური პროგრამების შემუშავების, კვლევითი საქმიანობის გაღრმავების, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის

სტრატეგიულ მიზნებს. ვინაიდან პროგრამა ახალია, არ ყოფილა მასში რაიმე განსაკუთრებული კორექტირების განხორციელების საჭიროება, მაგრამ იგი პერიოდულად განიხილება და განახლდება დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის, ბაზრის მოთხოვნებისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ გეგმას. მათი მიზანია მოამზადონ კურსდამთავრებულები, რომლებიც ფლობენ ღრმა, სისტემურ ცოდნას ეკონომიკაში, სამეცნიერო კვლევაში, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევებს და მაღალ მორალურ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. ეს მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას, რომელიც აქცენტს აკეთებს ხარისხიან განათლებაზე, კვლევაზე, ინტერნაციონალიზაციაზე, სოციალურ პასუხისმგებლობასა და ინსტიტუციურ განვითარებაზე. პროგრამის მიზნების კორექტირება მოხდა კვლევაზე ორიენტირებული კურსების დანერგვით. მაგალითად, დაინერგა ისეთი ახალი არჩევითი კურსები, როგორცაა ეკონომიკური დიპლომატია, გეოეკონომიკა და ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი. ეს კურსები ასახავს ეკონომიკის სფეროში მიმდინარე ტენდენციებსა და მოთხოვნებს და აუმჯობესებს სტუდენტების კვლევის უნარებს. სამაგისტრო ნაშრომისთვის კრედიტების გაზრდილი რაოდენობა (20-დან 30-მდე) მეტყველებს გაძლიერებული ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ეს კორექტირება საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჩაუღრმავდნენ კვლევას და წვლილი შეიტანონ ეკონომიკის მეცნიერებაში.

დოკუმენტები აჩვენებს, თუ როგორ არის პროგრამის მიზნები გადმოტანილი კურიკულუმში პროგრამის სტრუქტურის, სასწავლო გეგმის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შედგენის გზით. დოკუმენტებში მითითებულია თითოეული კურსისთვის გამოყენებული სწავლების მეთოდები, როგორცაა ლექციები, სემინარები, სამაგისტრო ნაშრომი, მოხსენება, ესე და ა.შ. რადგან ეს ახალი პროგრამაა, არ არსებობს სასწავლო გეგმის და სწავლების მეთოდების ეფექტური განხორციელების მატრიცები ან მაგალითები, მაგრამ იგულისხმება, რომ ისინი შექმნილია იმისათვის, რომ უზრუნველყონ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და სტუდენტთა კომპეტენციების განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს, განსაკუთრებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან.
- 2023 წლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმები
- სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების დამტკიცების მეთოდოლოგია
- უნივერსიტეტის მისია

რეკომენდაციები:

(არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- გააფართოვეთ ბაზრის კვლევის ფარგლები, რათა ჩაულრმავდეთ ეკონომიკის სფეროს კონკრეტულ მოთხოვნებსა და ტენდენციებს. გაცდით ზოგად გამოკითხვებს და შეაგროვეთ დეტალური ინფორმაცია ბაზრის მოთხოვნებისა და პროგრამის პოპულარობის სირთულეების შესახებ, რაც შესაძლებელს გახდის უფრო მიზანმიმართული სასწავლო გეგმის შემუშავებას.
- დახვეწეთ პროგრამის დოკუმენტაცია, რათა უფრო ნათლად წარმოაჩინოთ მისი წვლილი ეკონომიკის სფეროსა და საზოგადოებაში. მკაფიოდ აჩვენეთ, თუ როგორ პასუხობს პროგრამა ეკონომიკური ლანდშაფტის ფარგლებში გაჩენილი შესაძლებლობების გამოყენებისას არსებულ აწმყო და სამომავლო გამოწვევებს.
- შეუსაბამეთ პროგრამა უნივერსიტეტის მისიას და ხაზი გაუსვით მის როლს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის დისციპლინური და კულტურათათმორისი თანამშრომლობის ხელშეწყობაში. წარმოაჩინეთ ის შემთხვევები, როდესაც პროგრამა ხელს უწყობს ინოვაციას, ინტერნაციონალიზაციას და მრავალფეროვნებას დაწესებულების შიგნით.
- ხელი შეუწყვეთ შრომის ბაზრის დაინტერესებულ მხარეების ფორმალურ და ინკლუზიურ ჩართულობას. მოითხოვეთ მათი უკუკავშირი და შეხედულებები პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დახვეწისა და გადასინჯვის მიზნით. დარგის დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართვით, პროგრამა შეიძლება უფრო მეტ შესაბამისობაში მოვიდეს ბაზრის მიმდინარე საჭიროებებსა და დარგის მოლოდინებთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების სტრუქტურა კონკრეტული პროგრამის მიზნებს, უნივერსიტეტის მისიას და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს აღწერას შეესაბამება. პროგრამა მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც ფლობენ ეკონომიკის ღრმა, სისტემატურ ცოდნას და პრაქტიკული საქმიანობისა და ეკონომიკური კვლევისთვის აუცილებელ უნარებს. თვითშეფასების ანგარიში გთავაზობთ დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებსა და სასწავლო სფეროს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგები აღწერს სტუდენტთა მიერ მიღებულ ცოდნასა და უნარებს, როგორცაა თანამედროვე ეკონომიკის თეორიის, პოლიტიკისა და დიპლომატიის გაგება და დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების უნარი (ნაწილი 1.1 და 1.2, გვერდი 11, თვითშეფასების ანგარიში). დოკუმენტი ასახავს იმ კონკრეტულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებიც სტუდენტებმა უნდა განავითარონ. ეს მოიცავს კრიტიკულ აზროვნებას ეკონომიკის პოლიტიკაში, დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებასა და კვლევის შედეგების წარმოდგენას აკადემიური სტანდარტების შესაბამისად (ნაწილი 1.2, გვერდი 11, თვითშეფასების ანგარიში). სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო სფეროს სპეციფიკას, რაც იმის გარანტიაა, რომ სტუდენტები მიკროეკონომიკაში, მაკროეკონომიკაში, საერთაშორისო ეკონომიკაში, ეკონომიკაში და სხვა შესაბამის სფეროებში მიიღებენ ღრმა ცოდნას (ნაწილი 1.2, გვერდი 11, თვითშეფასების ანგარიში).

პროგრამის სტრუქტურა შეიქმნა სტუდენტების, ფაკულტეტების, სფეროს პროფესიონალებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვებზე დაყრდნობით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის აქტუალობას და შესაბამისობას. კურსის თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც იწყება საბაზისო ეკონომიკით და სრულდება სპეციალიზებული არჩევითებით, უზრუნველყოფს უნარების განვითარების პროგრესულ ტრაექტორიას, რომელიც პირდაპირ კავშირშია ისეთი სწავლის შედეგების მიღწევასთან, როგორცაა ეკონომიკის გაღრმავებული ანალიზის ცოდნა. პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ სემინარებს თეორიულ კურსებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკულ გამოცდილებას და თეორიული კონცეფციების განმტკიცებას. სწავლის შედეგების გამართულობა ფასდება კურსის შეფასების საშუალებით, რომელიც ზომავს რამდენად კარგად ფარავს კონკრეტული მოდულები წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სწავლის შედეგების სტრუქტურა შეესაბამება პროგრამის კონკრეტულ მიზნებს კურიკულუმის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის (დანართი 2) და სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკის (დანართი 3) გამოყენებით. ეს რუკები გვიჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის ერთ ან რამდენიმე მიზანთან და როგორ უწყობს ხელს თითოეული სასწავლო კურსი სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები ინტეგრირებულია სასწავლო გეგმაში სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდებისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემებისა და მეთოდების გამოყენებით. დოკუმენტში აღწერილია გამოყენებული მეთოდების ტიპები, როგორცაა ლექციები, სემინარები, სამაგისტრო ნაშრომი, მოხსენება, ესე და ა.შ. და სტუდენტის ცოდნის 100-ქულიანი სისტემით შეფასების კრიტერიუმები. დოკუმენტში ასევე მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის/ მოდულის წინაპირობები, საკონტაქტო საათები და დამოუკიდებელი საათები. პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ სემინარებს თეორიულ კურსებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკულ გამოცდილებას და თეორიული კონცეფციების განმტკიცებას. სწავლის შედეგების გათანაბრება ფასდება კურსის შეფასების საშუალებით, რომელიც ზომავს რამდენად კარგად ფარავს კონკრეტული მოდულები წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროგრამას მხარს უჭერს შესაბამისი ფინანსური, მატერიალური და ტექნიკური რესურსები; დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია შემდეგი საკითხების შესახებ: უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტიდან პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა, საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსები, როგორცაა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ინტერნეტ რესურსები და აკადემიური პერსონალის პირადი ბიბლიოთეკები, და სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს, განსაკუთრებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტთან, დამსაქმებელ დაინტერესებულ მხარეებთან
- 2023 წლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმები და კურსების სილაბუსები
- სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების დამტკიცების მეთოდოლოგია
- უნივერსიტეტის მისია
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა
- შეფასების გეგმა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.sou.edu.ge

რეკომენდაციები:

(არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შეფასების მიგნებებში ხაზი გაესვა ეკონომიკური თეორიების უფრო პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობას, რაც გამოიწვევს საქმის შესწავლისა და მოდელირების დანერგვას და ინტენსიურ გამოყენებას რეალურ სამყაროში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

თვითშეფასების ანგარიშში დეტალურადაა განსაზღვრული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, მათ შორის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, სამიზნე ნიშნები და

მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები. შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამებში შემავალი სავალდებულო კომპონენტების, მათ შორის პროფესიული პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგები გარკვეული პერიოდულობით თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ ფასდება შეფასების შესაბამისი პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, მაგისტრატურის ვადების გათვალისწინებით. პირდაპირი მეთოდების შემთხვევაში, სასწავლო კურსები ფასდება მათი დასრულებისთანავე იმავე სემესტრში, ხოლო არაპირდაპირი მეთოდებით ფასდება პროგრამის სრული ციკლი (2 წელი) დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში. არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებისას გარე დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები) აქტიურად არიან ჩართულნი შეფასების პროცესში გამოკითხვების მეშვეობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებსა და მეთოდებს (ნაწილი 1.3, გვ. 12- 13). მასში დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ არის განსაზღვრული სამაგისტრო პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლებიც შექმნილია უნივერსიტეტის დოკუმენტებზე დაყრდნობით და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ. შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. დოკუმენტის მე-4 დანართში ასევე მოცემულია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების გეგმა (გვ. 55- 58). დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება სასწავლო პროცესის რეგულირებასა და საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებს. აქვე აღნიშნულია, რომ შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და სანდო და ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. თუმცა, დოკუმენტი არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ მტკიცებულებას ან მაგალითს იმის შესახებ, თუ როგორ შეესაბამება შეფასების სისტემა ინსტიტუციურ სტანდარტებს ან როგორ ხდება მისი მონიტორინგი და განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამების თითოეულ სწავლის შედეგს აქვს შეზღუდული სამიზნე ნიშნები, მათ შორის სტუდენტების საერთო რაოდენობის პროცენტი, შეფასების ზღვარი, დადებითი და უარყოფითი შეფასებები, შესაძლო და დასაშვები გადახრების პროცენტები. ასევე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რომლებიც მონიტორინგს გაუწევენ შეფასების შედეგებს და პერიოდულად შეადარებენ მათ სამიზნე ნიშნებს. პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და აქტიურად მონაწილეობს შეფასების პროცესში. აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები, რათა შეერჩიათ სწავლება-სწავლისა და შეფასების შესაბამისი მეთოდები სწავლის შედეგების შედგენის, შეფასების, გაზომვისა და სამომავლო ანალიზისთვის. ეს პროცესი საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით, ნაშრომი ფასდება ერთხელ, დასკვნით ეტაპზე 100-ქულიანი სისტემით, 51 ქულა არის მინიმალური. სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმებია: ფორმალური ნაწილი - 10 ქულა; მიზნისა და ამოცანის განსაზღვრა - 20 ქულა; ფაქტობრივი მასალის ფლობა, წარმოდგენის თანმიმდევრულობა, არგუმენტირება - 30 ქულა; კვლევისა და ანალიზის უნარი - 30 ქულა; პრეზენტაცია 10 ქულა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შეფასების აღნიშნული კრიტერიუმებით არ იქნება შესაფერისი სამაგისტრო ნაშრომისთვის, რადგან იგი არ ასახავს კვლევის ბუნებას (პრობლემის დასაბუთება, თუმცა ეს ნაწილი შესაძლოა იგულისხმებოდეს მიზნებისა და ამოცანების კრიტერიუმებში), კვლევის მეთოდოლოგიას და

დასკვნის კრიტერიუმს. აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომის კრიტერიუმების მოდიფიცირება ისე, რომ სამართლიანად და სრულად შეფასდეს სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო.

დოკუმენტი იცავს კურსის თანმიმდევრულ სტრუქტურას, რაც დასტურდება მე-4 ნაწილის მე-6 გვერდზე, სადაც დეტალურადაა აღწერილი სავალდებულო და არჩევითი კურსების განაწილება სემესტრების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს უნარების პროგრესულ განვითარებას. დოკუმენტი ადასტურებს, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის შიგნით გაუმჯობესების მიზნით. პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს და შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა მოიცავს სწავლის შედეგებს, მათ აღწერას და სამიზნე ნიშნებს, რომელთა მონიტორინგი და შედარება ხდება შეფასების რეალურ შედეგებთან. დოკუმენტში მოცემულია შეფასების მექანიზმების დეტალური აღწერა, რაც სტანდარტების დაცვის მაღალ დონეზე მიუთითებს. თვითშეფასების ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართ სტრუქტურირებულ მიდგომას ავლენს, რაც ხარისხიანი უმაღლესი განათლების სტანდარტებსა და მოთხოვნებს შეესაბამება. პროცესი გამჭვირვალეა და მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს, რაშიც აისახება აკადემიური სტანდარტების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისკენ სწრაფვა. დოკუმენტის 2.2 ნაწილში აღნიშნულია, რომ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და თითოეული დისციპლინის სწავლება მოიცავს პრაქტიკულ და ემპირიულ მუშაობას. ასევე ნათქვამია, რომ ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და სავსე სემინარები, რომლებშიც სტუდენტები მონაწილეობენ. (გვ. 18-19). დოკუმენტის 2.4 ნაწილი განმარტავს სტუდენტთა შეფასების სისტემას, რომელიც არის გამჭვირვალე, სანდო და შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. იგი ასევე მიუთითებს სილაბუსებში თითოეული სასწავლო კურსის შეფასების ფორმებს, კომპონენტებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს. (გვ. 20-21). ნაწილი 1.5, გვ. 9: დოკუმენტში ნათქვამია, რომ პროგრამა მიზნად ისახავს ეკონომიკის, სამეცნიერო კვლევის, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის ღრმა, სისტემური ცოდნის მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ წარმოადგინონ კვლევის შედეგები და დასკვნები აკადემიური სტანდარტების შესაბამისად, მართონ სწავლა და სამუშაო გარემო ახალი სტრატეგიული მიდგომებით და გამოიყენონ მიღებული ცოდნა საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად მართვისთვის. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ პრაქტიკული პროექტის განხორციელებას - სამაგისტრო ნაშრომის დასრულებას, დასკვნების გამოტანას და მათ გაზიარებას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (ნაწილი 2.2, გვერდი 18). მასში აღწერილია პრაქტიკული უნარების განვითარება პრაქტიკული გაკვეთილებითა და ემპირიული სამუშაოებით, და სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და სავსე სემინარებში. სტუდენტთა უკუკავშირის მისაღებად მატერიალური, არაანონიმური გამოკითხვების გამოყენებამ შეიძლება მიკერძოებული პასუხები მოგვეცეს და შეზღუდოს ნამდვილი კრიტიკა, რაც გავლენას იქონიებს კვლევის ეფექტურობაზე. გარდა ამისა, მატერიალური გამოკითხვების ხელით დამუშავება უფრო მეტ დროსა და რესურსს საჭიროებს და უხერხულობის გამო პოტენციურად გამოიწვევს პასუხების შემცირებას. ზოგიერთ პროგრამას, რომელიც ეკონომეტრიული ანალიზისა და მოდელირებისთვის არის საჭირო, მაგალითად, Gretl, მხოლოდ პერსონალი იყენებს, სტუდენტების ჩართულობის გარეშე, რამაც შესაძლოა შეაფერხოს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარება, შეზღუდოს მათი ცოდნა სფეროში გამოყენებული სხვადასხვა ინსტრუმენტების შესახებ და პოტენციურად იმოქმედოს მათ

ადაპტირებაზე. საერთო ჯამში, ამ პრაქტიკამ შეიძლება შეაფერხოს უკუკავშირის სრულყოფილი შეგროვება და ხელი შეუშალოს სტუდენტების მომზადებას მრავალფეროვანი პროგრამული გარემოსთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს, განსაკუთრებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტთან, დამსაქმებელ დაინტერესებულ მხარეებთან
- 2023 წლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმები
- სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების დამტკიცების მეთოდოლოგია
- უნივერსიტეტის მისია
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა
- შეფასების გეგმა
- პროგრამის კურსების სილაბუსები
- სამიზნე ნიშნები და განმარტებები

რეკომენდაციები:

- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი უნდა შეიცვალოს , და მასში უფრო მეტად იქნეს წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები სამაგისტრო ნაშრომების სათანადო შეფასებისთვის.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- ძალზე სასურველია თანამედროვე ეკონომეტრიული მოდელების ან პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება ეკონომიკური მოდელირების სემინარებში. ასეთი მიდგომით შემუშავებულ სასწავლო პროგრამას შეეძლება განვითარდეს დარგის ცვლილებებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს უკეთეს სწავლის შედეგებს და პრაქტიკულ გამოყენებას სტუდენტებისთვის.
- სტუდენტთა კმაყოფილების შესაფასებლად ანონიმური ონლაინგამოკითხვების გამოყენება და შემეცნების სწავლების შემდგომი მეთოდის განხორციელება ღირებულ პრაქტიკას წარმოადგენს. ეს გამოკითხვები კარგად ზომავს სწავლების მეთოდების ეფექტიანობას წინასწარ განსაზღვრული სასწავლო მიზნების მისაღწევად და გვთავაზობს ღირებულ უკუკავშირს მუდმივი განვითარებისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

- 1.3 პროგრამის
- სწავლის
 შედეგების
 შეფასების
 მექანიზმი

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, რაც უზრუნველყოფს ლოგიკურ და თანმიმდევრულ სტრუქტურას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება სწავლის შედეგებს, რომლებიც რეგულარულად ფასდება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მზადყოფნას მათი კარიერისთვის. ანგარიშში მითითებულია ზოგადი მიდგომა პროგრამის შემუშავებისადმი, რომელიც აკმაყოფილებს საგანმანათლებლო სტანდარტებს და უზრუნველყოფს მყარ ჩარჩოს სტუდენტთა სწავლისა და მიღწევებისთვის. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი თანმიმდევრული და ლოგიკურია, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან ცხადად ჩანს მის შესაბამისობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მეთოდოლოგიასთან და სწავლის შედეგების რეგულარულ შეფასებაში.

მე-5 ნაწილი (თვითშეფასების ჯგუფი და თვითშეფასების პროცესის აღწერა), გვერდი 7, ასახავს დაინტერესებული მხარეების, მაგალითად კურსდამთავრებულების, დარგის ექსპერტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობას პროგრამის განვითარების პროცესში გამოკითხვებისა და დისკუსიების გზით. ნაწილში 1.4 (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი), გვერდი 14, აღნიშნულია, რომ პროგრამა შექმნილია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით. დოკუმენტი დეტალურად ასახავს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და ინსტიტუციური მეთოდოლოგიის დაცვას, მაგრამ არ შეიცავს უკუკავშირის განხორციელების კონკრეტულ მაგალითებს, ვინაიდან ეს არის ახალი პროგრამა. თუმცა მსგავსი პროგრამების წარმომადგენლებთან გასაუბრებების დროს..... პროგრამის სტრუქტურა აღწერილია, როგორც თანმიმდევრული და ლოგიკური, რომლის შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს, რაც მიუთითებს შესაბამისობის მაღალ დონეზე; ნაწილი 1.4 (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი), გვერდი 14, ასახავს პროგრამის სტრუქტურას, მათ შორის სავალდებულო და არჩევით კურსებს, პროფესიულ პრაქტიკას, და სამაგისტრო ნაშრომს, რაც

უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ნაწილში 1.5 (სასწავლო კურსი/ საგანი), გვერდი 15, დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ უწყობს ხელს თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა სწავლის შედეგებს. პროგრამა მოიცავს პროფესიულ პრაქტიკას და სამაგისტრო ნაშრომს, ანუ პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც მიმართულია თეორიული ცოდნის გამოყენებისა და დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების უნარის გამომუშავებისკენ (გვერდი 3). ნაწილი 2.2 (პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება): პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას პრაქტიკული გაკვეთილების, ემპირიული სამუშაოების და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობის გზით (გვერდი 18).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს, განსაკუთრებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტთან, დამსაქმებელ დაინტერესებულ მხარეებთან
- 2023 წლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმები
- სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების დამტკიცების მეთოდოლოგია
- უნივერსიტეტის მისია
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა- კურიკულუმის რუკა
- შეფასების გეგმა
- პროგრამის კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა, საგანმანათლებლო მასალები და რესურსები აღწერილია თანდართულ დოკუმენტებში
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი გვთავაზობს კლასგარეშე აქტივობებს, დარგთან დაკავშირებული ვიზიტების არარსებობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტებს სრულყოფილად დაეუფლონ მასალას.
- უაღრესად სასარგებლოა რეგულარული სემინარების ჩატარება, ეკონომიკის სფეროს პროფესიონალების მონაწილეობით. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად ერკვევიან ეკონომიკის მიმდინარე ტენდენციებში,

პრაქტიკაში და რეალურ სამყაროში არსებულ შეხედულებებში, რაც აძლიერებს მათ დარგში საქმიანობის მზადყოფნას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ განხორციელებული სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში შედგება 120 ECTS კრედიტისგან. იგი შედგება ძირითადი და არჩევითი კომპონენტებისგან; ძირითად კომპონენტებში შედის 30 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომი, 14 ძირითადი კურსი თითო 5 ECTS კრედიტის მოცულობით და პროფესიული პრაქტიკა 5 ECTS კრედიტის მოცულობით, არჩევითი კურსი არის 13 თითო 5 ECTS კრედიტის მოცულობით და სტუდენტს პროგრამის განმავლობაში შეუძლია აირჩიოს 3 კურსი.

პროგრამის ძირითადი კურსებია:

1. ეკონომიკის პოლიტიკის თეორია
2. ეკონომიკური დოქტრინები
3. მიკროეკონომიკის თანამედროვე თეორია
4. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა

5. კვლევის მეთოდოლოგია (ქართულ ან ინგლისურ ენაზე)
6. ეკონომიკური დიპლომატია
7. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა
8. თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკა
9. ეკონომეტრიკა
10. ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკა
11. ფისკალური და ფულადი პოლიტიკა
12. რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკა
13. შრომის ბაზარი და დასაქმების პოლიტიკა
14. გეო ეკონომიკა

ეკონომიკის პოლიტიკის თეორიის კურსის დამატებით ლიტერატურაში ჩამოთვლილია წიგნი გერმანულ ენაზე, Wagenknecht Sahra, (2016): Reichtum ohne Gier, Campus Verlag GmbH, Frankfurt am Main (სიმდიდრე სიხარბის გარეშე, როგორ ვიხსნათ თავი კაპიტალიზმისგან). პროგრამაზე სტუდენტის მიღების წინაპირობაა „შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური) – B2 დონე (პირი, რომელსაც აქვს ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან გავლილი აქვს პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა უცხო ენაზე (ინგლისური) ან მინიჭებული აქვს ინგლისური ფილოლოგიის კვალიფიკაცია პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით, თავისუფლდება აღნიშნული გამოცდისგან), ეს ნიშნავს, რომ სტუდენტები ვერ კითხულობენ ლიტერატურას, კურსის წამყვანმა პროფესორმა იცის გერმანული ენა, მაგრამ სტუდენტები წიგნს ვერ წაიკითხავენ. დამხმარე ლიტერატურა ყურადღებით უნდა იყოს შერჩეული, რათა სტუდენტებმა შეძლონ მასალის წაკითხვა, ან ლექტორმა უნდა მოამზადოს სახელმძღვანელოების ქართული ვერსიები. პროგრამის სტუდენტებისთვის მიწოდებული სასწავლო მასალა უნდა შეესაბამებოდეს მათ ენობრივ უნარებს.

სასწავლო კურსი: შრომის ბაზარი და დასაქმების პოლიტიკა არის ბაკალავრიატის კურსი, და ძირითად ლიტერატურაში წარმოდგენილი 1. მ. ცარსიმე, ნ.ლაცაბიძე. შრომის ეკონომიკა, სახელმძღვანელო. თბილისი, თსუ გამოცემა, 2016. - 159 გვერდი.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/shrom%20ekon.pdf წარმოადგენს

ბაკალავრიატის საფეხურის კურსს. ანალოგიურად, საერთაშორისო შრომის მიგრაციის კურსში გამოყენებულია რუსული ლიტერატურა.

სასწავლო პროგრამაში გამოყენებული უნდა იყოს სამაგისტრო დონის ლიტერატურა.

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს შემდეგ არჩევით კურსებს:

- მოსახლეობის ეკონომიკა და დემოგრაფია
- საერთაშორისო შრომის მიგრაცია
- საგადასახადო პოლიტიკა
- ეკონომიკური უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება
- აგრარული პოლიტიკა
- საუნივერსიტეტო დიპლომატია
- საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პრობლემები
- ევროკავშირი გლობალურ ეკონომიკაში

- ევროკავშირის ენერგოპოლიტიკა
- რესურსების გამოყენების ეკონომიკური პოლიტიკა
- ციფრული ეკონომიკა
- გლობალიზაცია და მმართველობა (ინგლისურად)
- ეკონომიკური და პოლიტიკური დაწესებულებები და განვითარება ეკონომიკური და პოლიტიკური დაწესებულებები და განვითარება (ინგლისურად)

პროგრამის ყველა კურსში ძირითადად გამოიყენება ქართული ლიტერატურა. ქართულენოვანი წიგნები და სახელმძღვანელოები ეკონომიკაში მწირია, მაგრამ ამჟამად პროგრამა იყენებს ხელმისაწვდომი ქართული ლიტერატურის უახლეს გამოცემებს; თუმცა, პროგრამისთვის მომგებიანი იქნება, თუ უნივერსიტეტი დაიწყებს სპეციალურად პროგრამის კურსებზე მორგებული ქართულენოვანი ლიტერატურის შექმნას.

ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული მასალების, დოკუმენტების, დაინტერესებულ პირებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით / საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; და სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები (CV) და საკვალიფიკაციო დოკუმენტები (დიპლომები);
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი <https://www.sou.edu.ge/>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამისთვის კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი დაიწყებს ქართულენოვანი ლიტერატურის მომზადებას პროგრამის კურსებისთვის.
- პროგრამის სტუდენტებისთვის მიწოდებული სასწავლო მასალა უნდა შეესაბამებოდეს მათ ენობრივ უნარებს.
- უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო პროგრამაში გამოყენებული ლიტერატურის სამაგისტრო დონესთან შესაბამისობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამაში, უსდ- მ განსაზღვრა პროგრამაზე დაშვების შემდეგი წინაპირობები:

- ბაკალავრის ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები;
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური) – B2 დონეზე (პირი, რომელსაც აქვს ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი შესაბამის დონეზე ან გავლილი აქვს პირველი საფეხურის სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამა უცხო ენაზე (ინგლისური) ან პირველი საფეხურის სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამით მინიჭებული აქვს ინგლისური ფილოლოგიის კვალიფიკაცია, თავისუფლდება აღნიშნული გამოცდისგან);
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (წერილობითი ფორმით);
- პროგრამაზე სწავლის უფლება ასევე აქვთ მობილობით გადმოსულ სტუდენტებს - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ან სხვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს, რომლებიც გადავლენ აღნიშნულ პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზოგადად, წინაპირობები შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. პროგრამისთვის საკმარისია ინგლისური ენის B2 დონე. პროგრამა არ მოითხოვს კანდიდატებისგან ბაკალავრის ხარისხს ეკონომიკაში და არ არსებობს სპეციალობის ტესტის ნიმუში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი -www.sou.edu.ge

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- იმისთვის, რომ მომავალი სტუდენტებისათვის მოთხოვნები ცხადი იყოს, ჩვენ მოგაწოდებთ სპეციალობის ტესტის ნიმუშს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ვებგვერდზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. **პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**
სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ხაზს უსვამს პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც გადამწყვეტია სამაგისტრო დონის განათლებისთვის. როგორც თეორიული საკითხების, ასევე პრაქტიკული/ ემპირიული სამუშაოების ჩართვა კარგად ორგანიზებულ სასწავლო გეგმას გვთავაზობს. არის აქტივობები, რომლებიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთონ უფრო ფართო აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში, რაც სასარგებლოა ქსელში ჩართვისთვის, ახალი შეხედულებების მოსაპოვებლად და სწავლის ახალ კონტექსტში გამოყენებისთვის. კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო დონეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კურსის შინაარსი სათანადო და საკმარისად რთულია მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. როგორც ჩანს, პროგრამას აქვს კარგად გააზრებული სტრუქტურა საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტებს საკმარისი დრო ჰქონდეთ როგორც მართული სასწავლო პროცესისთვის, ისე თვითსწავლისთვის. პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ზოგადად უახლესი და შესაბამისი სასწავლო მასალების გამოყენება, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე წვდომა. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შექმნილია კონკრეტული სწავლის შედეგების მისაღწევად და სწავლების მეთოდები შეესაბამება როგორც შინაარსს, ასევე შედეგებს.

ვიზიტის დროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მზად არიან დაეხმარონ სტუდენტებს პრაქტიკული უნარების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა და სილაბუსები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები;
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გარკვეულწილად უნდა გაუმჯობესდეს სამეცნიერო/ კვლევითი მიმართულება, რაც ასევე აუცილებელია სამაგისტრო განათლებისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან ნ	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან ნ	არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთან ან
------------	---	---	---	---

2.2 პრაქტიკული,
 სამეცნიერო/კვლევითი/
 შემოქმედებითი/საშემსრულებლ
 ო და ტრანსფერული უნარების
 განვითარება

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა იყენებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებს, რომლებიც ინტერაქტიულია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თვითშეფასების დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი სწავლებისა და სწავლის მეთოდები (ნაწილი 2.3, გვერდი 19), რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების ჩართულობაზე. ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრაზე გუნდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯგუფების 10-20 სტუდენტით დაკომპლექტება უზრუნველყოფს სტუდენტების ძალიან მცირე ჯგუფს, რაც იძლევა ინდივიდუალური ყურადღების მიქცევის საშუალებას როგორც სწავლების, ასევე სწავლის პროცესში. თვითშეფასების ანგარიში ხაზს უსვამს კურსის შინაარსზე მორგებულ ინტერაქტიულ სწავლებას, რაც გულისხმობს ლექციებს, ჯგუფურ მუშაობას, პრაქტიკულ ტრენინგებსა და დისკუსიებს, რაც შეხვედრაზე დაადასტურა ფაკულტეტის გუნდმა. გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ლექციები, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობები და დისკუსიები, რომლებიც მორგებულია კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებზე. ხაზგასმულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა შემთხვევის ანალიზი, პროექტის შემუშავება და მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, რათა სტუდენტები აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში. ეს მეთოდები შექმნილია იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს განათლების დონეს და ხელი შეუწყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც უზრუნველყოფს ამომწურავ საგანმანათლებლო პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ ცალსახად არ არის ნახსენები შებრუნებული კლასის მიდგომა, იგი ხაზს უსვამს სტუდენტზე ორიენტირებულ სხვადასხვა მეთოდოლოგიას, რომლებიც ხელს უწყობენ კრიტიკულ აზროვნებასა და ეკონომიკური პრინციპების გაგებაში ჩართულობას. სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების განვითარებას (ნაწილი 2.2, გვერდი 18) ხელს უწყობს პრაქტიკული გაკვეთილები, ემპირიული სამუშაოები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და სხვადასხვა სემინარები. თუმცა, პუნქტი 2.4 (გვერდი 20) მიუთითებს შეფასების მეთოდოლოგიების გაუმჯობესების პოტენციურ შესაძლებლობებზე, რაც გვთავაზობს შეფასების ინოვაციური მეთოდების ჩართულობას, როგორცაა სიმულაციები სწავლების ეკონომიკურ სცენარებთან. აკრედიტაციის მიმოხილვის დროს, რეალურ სამყაროში არსებული ეკონომიკური საკითხების კურსებში ინტეგრირებაზე ფოკუსირებული რეგულარული ფაკულტატური სემინარების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ აღმოჩნდა. ამ სემინარების არარსებობა მიუთითებს ფაკულტეტისათვის სტრუქტურირებული შესაძლებლობების მიწოდების დეფიციტზე, რათა გააუმჯობესონ სწავლების სტრატეგიები, რომლებიც შეესაბამება დარგის სტანდარტებს. ეს არარსებობა ხაზს უსვამს გასაუმჯობესებელ სფეროს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის პრაქტიკული აქტუალობა და განახლდეს სწავლების მეთოდები თანამედროვე ეკონომიკური პრაქტიკის შესაბამისად. პროგრამის

სილაბუსები ასახავს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება სტუდენტზე ორიენტირებულ პრინციპებს (პუნქტი 2.3, გვერდი 19), მათ შორის ლექციები, ჯგუფური/ინდივიდუალური კონსულტაცია, თანამშრომლობითი სწავლა, შემთხვევის ანალიზი და პროექტის შემუშავება. გარდა ამისა, კონკრეტული კურსები, როგორცაა ეკონომეტრიული მეთოდები (ECO 501) და პროფესიული პრაქტიკა (ECO 601), უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას ეკონომიკაში, ხაზს უსვამს პრაქტიკული უნარების განვითარებას და რეალურ სამყაროში გამოყენებას. პროგრამის მიზნები ხაზს უსვამს მაღალკვალიფიციური ეკონომისტების აღზრდას, რომლებიც დახელოვნებულნი არიან კვლევებში, პრაქტიკულ მუშაობასა და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში (გვერდი 4, პუნქტი 1.1). უფრო მეტიც, გამოკითხვების მეშვეობით ის რთავს გარე დაინტერესებულ მხარეებს სწავლის შედეგების შეფასებაში (გვერდი 13). სწავლების მეთოდების შეფასება მოიცავს გამოკითხვებს, შესრულების ანალიზს, ხარისხის შიდა/გარე უზრუნველყოფას და მსგავს პროგრამებთან შედარებას (გვერდი 13).

აკრედიტაციის განხილვისას დოკუმენტაციასა და დისკუსიაში აკლდა მტკიცებულება, რომელიც დეტალურად აღწერდა კვლევების, მონაცემთა ანალიზის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ბენჩმარკინგის პროცესებს. ამ ინფორმაციის არარსებობა იწვევს ხარვეზს იმის დემონსტრირებაში, თუ ეს პროცესები სწავლების მეთოდებისა და პროგრამის ეფექტურობის გაუმჯობესებას. აკრედიტაციის პროცესი მოიცავდა სკურპულოზურად შესრულებულ თვითშეფასებას, ექსპერტთა შეფასებებს და აკადემიური საბჭოების რეკომენდაციებს (გვერდი 6-8). მიუხედავად იმისა, რომ შეფასებებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიების კონკრეტული ცვლილებები მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი, პროგრამა მიუთითებს უწყვეტი გაუმჯობესების გეგმაზე, რომელიც დაფუძნებულია სიღრმისეულ მონიტორინგსა და შედეგების ანალიზზე (გვერდი 13, 16).

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს, განსაკუთრებით პროგრამების ხელმძღვანელებთან,
- ფაკულტეტის 2023 წლის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმებით
- პროგრამის კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნდა დაინერგოს რეგულარული საფაკულტეტო ვორქშოფები, რომლებიც რეალურ სამყაროში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებს ასახავს კურსებში. სწავლების სტრატეგიების გაღრმავება და პერიოდული ტრენინგების საშუალებით სფეროს სტანდარტებთან მათი შესაბამისობა გაზრდის პროგრამის პრაქტიკულ აქტუალობას და განაახლებს სწავლების მეთოდებს.
- შეტანილ იქნეს სასწავლო პროგრამაში ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ დებატები და შემთხვევის შესწავლა, ჩატარდეს საფაკულტეტო ტრენინგები ამ დისკუსიების ეფექტიანად მოდერაციისთვის და წახალისებულ იქნეს სტუდენტების მიერ წარმართული დისკუსიები სწავლაში ჩართულობისა და ავტონომიურობის გასაძლიერებლად.
- საჭიროა უფრო მკაფიო დეტალები, თუ როგორ ტარდება გამოკითხვები, როგორ ხდება მონაცემების ანალიზი, როგორ ხდება ხარისხის უზრუნველყოფის დაცვა და დგინდება

სამიზნე ნიშნულები. იმის ჩვენება, თუ როგორ აისახება ეს შედეგები სწავლების მეთოდის გაუმჯობესებაზე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შეფასებებში, გაზრდის პროგრამის ეფექტურობას. ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურირებული ჩარჩოს დანერგვა, კურსის შეფასების მექანიზმების ფორმალიზება და უკუკავშირის კვლევების გაუმჯობესება გაზრდის უკუკავშირის სისტემების ეფექტურობასა და სანდოობას.

- სტუდენტებს თბილი და არაფორმალური ურთიერთობა აქვთ პერსონალთან, რაც კარგია აღმზრდელობითი გარემოს გასაუმჯობესებლად, თუმცა, შეფასებების ობიექტურობის გასამდიერებლად საჭიროა სტუდენტებთან ფორმალური კომუნიკაციის არხების დამყარება შეფასების კრიტერიუმებთან, ანტიპლაგიატის (თუ პლაგიატის საწინააღმდეგო?) პოლიტიკასთან და მოლოდინებთან დაკავშირებით.
- ფაკულტეტის წევრებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების კულტურის ხელშეწყობა, როგორ სწავლებისა და სწავლის კოლეგიალური შეფასება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კოლექტიური ზრდისა და ჩვენი საგანმანათლებლო სტანდარტების გაუმჯობესებისთვის. ღია დისკუსიების, სემინარების ან ფორუმების ხელშეწყობა საშუალებას მისცემს ფაკულტეტს გაიზიაროს წარმატებული სწავლების სტრატეგიები, ინოვაციური ტექნიკები და გამოცდილება, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ჩვენი საგანმანათლებლო პრაქტიკა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია უნივერსიტეტისთვის. შეფასება უნდა იყოს ადეკვატური, მკაცრი და სამართლიანი. უნივერსიტეტში მოქმედებს „საგანმანათლებლო პროცესის რეგულირება“, რომლის მე-18 მუხლში აღნიშნულია, რომ შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. ასევე, შეფასების მეთოდები მოიცავს ესეებს, ტესტებს, დემონსტრაციებს, ჯგუფურ მუშაობას, შემთხვევის ანალიზს, ზეპირ და წერილობით გამოცდებს. მე-19 მუხლში აღნიშნულია, რომ შეფასების საერთო ქულებიდან 60 ქულა (100 ქულა) თითოეული შეფასების ფორმისა და კომპონენტისთვის განკუთვნილია შუალედური შეფასებებისთვის, ხოლო 40 ქულა - საბოლოო შეფასებისთვის. დაუშვებელია შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან საბოლოო შეფასება) გამოყენება. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. შეფასების თითოეულ ფორმაში უნდა იყოს მითითებული კომპეტენციის მინიმალური ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი ან ავტორები პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე.

შეფასების სიტემა მოიცავს:

დადებითი შეფასების ხუთ ტიპს:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასებაა:

ბ.ა.) (FX) ჩაჭრა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც იმას ნიშნავს, რომ

ჩაბარებას მეტი შრომა სჭირდება და დამოუკიდებელი მუშაობის გარდა ეძლევა გამოცდის ერთხელ ჩაბარების უფლება;

(F) ჩაჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან საგანი თავიდან უნდა შეისწავლოს.

9 საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დანიშნოს დამატებითი დასკვნითი გამოცდა გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღისა. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციაზე, სამაგისტრო პროექტზე/თეზისზე, კრეატიულ/შემოქმედებით ნაშრომზე ან სხვა სამეცნიერო პროექტზე/ნაშრომზე.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული სილაბუსები მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტს, როგორცაა ტესტები, წერიტი დავალებები, ესეები და ა.შ.

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი ნაკლებად არიან ინფორმირებულები შეფასების გასაჩივრების პროცედურის შესახებ, ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ არასოდეს გამოუყენებია გასაჩივრების მექანიზმი, მაგრამ სხვა სტუდენტების შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ ისინი კარგად არ არიან ინფორმირებულები სად უნდა დაწერონ განცხადება და როგორია გასაჩივრების პროცედურები. გარდა ამისა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორები აძლევენ უკუკავშირს სტუდენტებს ყოველი შეფასების შემდეგ და განიხილავენ თითოეულ ნაშრომს. ჩვენ ვნახეთ სტუდენტური პლატფორმა და ეს პლატფორმა საკმაოდ მოქნილია. ყველაფერი ნათელია, სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორს წერილი მისწერონ, ნახონ შეფასება, ნახონ სილაბუსი და დაწერონ განცხადება.

უნივერსიტეტს აქვს სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და შემუშავების მეთოდოლოგია“, რომლის მე-8 დანართში არის „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციები“, აღნიშნულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესაფასებლად სპეციალური დარგობრივი კომისიაა შექმნილი. შემადგენლობა მოიცავს შესაბამის პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი). კომისიის შემადგენლობას ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. კომისიას შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი. სამაგისტრო პროექტი/თეზისი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი ასრულებს მასზე მუშაობას; სამაგისტრო პროექტი/თეზისი ფასდება მთლიანობაში, საბოლოო შეფასებით, რომელიც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ პირთა შეფასებებსა და რეცენზიებს; სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს წარმოდგენილ ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება არის კომისიის წევრების ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი. შეფასებაში არ მონაწილეობს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ ისინი ნაკლებად არიან ინფორმირებულები პლაგიატზე, არ იციან ზუსტად რა პლატფორმა გამოიყენება პლაგიატის

გამოსავლენად და როგორ მუშაობს იგი. უნივერსიტეტმა უნდა მიაწოდოს ასეთი ინფორმაცია სტუდენტებს, რადგან მაგისტრატურის სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს პლაგიატის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსი და პროგრამა (დანართი 1)
- „საგანმანათლებლო პროცესის რეგულირება“ (დანართი 11)
- „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და შემუშავების მეთოდოლოგია“ (დანართი 1).
- „სამაგისტრო ინსტრუქცია ცვლილებებით“ (დანართი 11)
- <https://www.sou.edu.ge/>
- სტუდენტის პლათფორმა
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- აუცილებელია სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ შეფასების გასაჩივრების შესახებ, ასევე ინფორმაცია პლაგიატზე და უნივერსიტეტის დებულებაზე პლაგიატთან დაკავშირებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

(არ არის მითითებული)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტის შეფასება:	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამასთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, ათვისების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3 სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდამჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მრავალმხრივ განვითარებას, მათი შემოქმედებითი და ინოვაციური იდეების წახალისების საშუალებით. ამ მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტში მოქმედებს:

1. სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური;
2. სტუდენტური თვითმმართველობა;
3. საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახური;
4. სტუდენტური პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური;
5. უცხო ენების ცენტრი;
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

„სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის“ ფარგლებში ფუნქციონირებს სპორტული სექციები: ფეხბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, ჭიდაობაში. სექციების ტიპები შეირჩევა სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. ადგილზე ვიზიტის დროს ორმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ისინი მონაწილეობდნენ ფეხბურთის გაკვეთილებში. ასევე, ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ისინი დადიოდნენ ცეკვაზე. ასეთი სახის კლასგარეშე აქტივობები ნამდვილად მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ასევე არის ვოკალურ-ინსტრუმენტული და ფოლკლორული ანსამბლები, ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ექსკურსიებს ყოველ სემესტრში და სხვა სახის აქტივობებს სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით.

გარდა კლასგარეშე აქტივობებისა, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ვორქშოპებს, ტრენინგებსა და გაცვლით პროგრამებს, რომელსაც აწვდიან სოციალური ჯგუფები, ჩეთები და ან იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის ელ.ფოსტაზე. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ, მაგრამ ჰქონდათ გარკვეული პირადი მიზეზები, რის გამოც ვერ მონაწილეობდნენ. ასევე, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თუ რაიმე სახის კითხვა და პრობლემა ექნებათ, შეუძლიათ ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ ლექტორს ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით და სოციალური მედიით. ასე, რომ ბუნდოვანი საკითხები ყურადღების გარეშე არ რჩება.

უნივერსიტეტი ასევე სთავაზობს სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილ სისტემას, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გადაიხადონ სწავლის საფასური ოთხ ნაწილად. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამას, რომელიც ფინანსური ვალდებულებების გადახდაში ეხმარება სტუდენტებს, რომლებიც არიან:

- მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე;
- იძულებით გადაადგილებული;
- აქტიურად არიან ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში;
- სოციალურად დაუცველი;
- მარჩენალდაკარგული;
- მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილი);
- მაღალმთიანი რეგიონიდან;

პროგრამის ფარგლებში, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე, სტუდენტებისგან შემდგარი კომისია ადგენს შეღავათებს სტუდენტების სწავლის საფასურზე, რომელსაც წარადგენს და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

ეს სერვისი მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც აქვთ გარკვეული ფინანსური პრობლემები, მაგრამ არიან მოტივირებულები და აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება.

უნივერსიტეტს აქვს რამდენიმე მემორანდუმი, რომელიც ეხმარება უნივერსიტეტს ერთობლივად დაგეგმონ სხვადასხვა პროექტები და შესთავაზონ სტუდენტებს მომავალი დასაქმება. ადგილზე ვიზიტის დროს ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ სტაჟირება გაიარა აუდიტორულ კომპანიაში, სადაც ერთი სტუდენტი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აგრძელებს მუშაობას. თუმცა, ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურთ, რომ უნივერსიტეტმა მეტი პრაქტიკული სამუშაო შესთავაზოს, რადგან ეს მათ ცოდნის გაღრმავებაში ეხმარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- „საგანმანათლებლო პროცესის რეგულირება“ (დანართი 11)
- უნივერსიტეტის მისია (დანართი 11)
- სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის რეგულაციები;
- სტუდენტთა კარიერული პრაქტიკის და კარიერის მართვის სამსახურის დებულება;
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი ურთიერთობის სამსახურის დებულება;

- <https://www.sou.edu.ge/>
- გასაუბრებების შედეგები.
-

რეკომენდაციები:

(არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი დრო დაუთმოს პრაქტიკული სამუშაოს დახვეწას და შესთავაზოს იგი სტუდენტებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ სამაგისტრო პროგრამას, სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. სამაგისტრო პროგრამა შეიძლება წარმართოს შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაციისა და კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირმა. ასეთ შემთხვევაში, მოწვეული პირის გარდა, პროგრამას ასევე უნდა უძღვებოდეს უნივერსიტეტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი; პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით. ერთ ადამიანს შეუძლია ხელმძღვანელობდეს მხოლოდ ერთ სამაგისტრო პროგრამას/მოდულს. ასევე, ამ დებულებაში

დანართ 8-ში „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია“ აღნიშნულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) ან ხელშეკრულებით მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დოქტორი.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია, ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე გაუწიოს მაგისტრანტს შესაბამისი კონსულტაციები;

უნივერსიტეტი ატარებს გამოკითხვებსაც, რომელიც ეგზავნება სტუდენტებს აზრის დასაფიქსირებლად, კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ჰქონდათ ასეთი გამოკითხვები, სადაც აფასებდნენ ხელმძღვანელს და მის მუშაობას.

ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, რომ სტუდენტებს ხელმძღვანელთან აქვთ საკმაოდ ახლო ურთიერთობა, მათ არაერთხელ აღნიშნეს, რომ კომუნიკაცია და შეხვედრები ხელმძღვანელთან იყო პროდუქტიული, მნიშვნელოვანი და საინტერესო. ხელმძღვანელი ეხმარებოდა მათ თემის შერჩევაში, ბიბლიოგრაფიასა და ყველაფერში მუშაობისთვის.

მაგისტრების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	5
მაგისტრატურის/დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	0
თანაფარდობა	5/0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. თვითშეფასების ანგარიში;
2. „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დანართი 1);
3. „საგანმანათლებლო პროცესის რეგულირება“ (დანართი 11)
4. შესაბამისი პროგრამების დაცული სამაგისტრო ნაშრომი;
5. გასაუბრებების შედეგები.
6. <https://www.sou.edu.ge/>

რეკომენდაციები:

(არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

(არ არის მითითებული)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამასთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4 სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი კომპეტენციები, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.
 - პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრად მიმდინარეობას და ასევე მათი კვლევითი/შემოქმედებითი/სამშრომლობითი საქმიანობის და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
 - პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე შესაბამისი კომპეტენციებს პროგრამის სასწავლო სფეროში. ასევე, უშუალოდ აა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ განხორციელებული ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ადამიანური რესურსები შედგება კვალიფიციურ პირებისგან, რომლებსაც აქვთ მდიდარი აკადემიური გამოცდილება და კვალიფიკაცია. პროგრამის განხორციელების პროცესში სულ ჩაერთვება 16 ადამიანი, მათ შორის 10 ადგილობრივი აკადემიური პერსონალია და 6 მოწვეული. აკადემიური პერსონალიდან 3 არის პროფესორი და 7 ასოცირებული პროფესორი და ყველა აფილირებულია უნივერსიტეტთან. ყველა პროგრამის განმახორციელებელს აქვს დოქტორის ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება. აკადემიური და მოწვეული პირები გამოირჩევიან მაღალი სამეცნიერო აქტივობით, ფლობენ სწავლის შედეგების მისაღებად აუცილებელ კომპეტენციებს, რაც განისაზღვრება მათი ინდივიდუალური კვალიფიკაციით, სამეცნიერო ნაშრომებით, პუბლიკაციებით ბოლო 5 წლის განმავლობაში. ეს დასტურდება CV-ებით, აკრედიტაციის პაკეტში წარმოდგენილი დიპლომების ასლებით, ადგილზე ვიზიტების დროს დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუებით. პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში; შესაბამისად, პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

როგორც ზემოთ განვიხილეთ, პროგრამა შედგება 5 კრედიტიანი კურსისგან, 5 კრედიტიანი პრაქტიკისგან და 30 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომისგან. საერთო ჯამში, პროგრამის კურსების მოცულობა შეადგენს 85 კრედიტს, რომელიც ნაწილდება 17 კურსზე 3 სემესტრის განმავლობაში, რომელსაც ეფექტურად გაუმკლავდება პროგრამის განმახორციელებელი 16 კაციანი გუნდი, 10 ადგილობრივი აკადემიური პერსონალი, მათ შორის 5 გაუძღვება სამაგისტრო ნაშრომებს, 6 მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტი გეგმავს წელიწადში მაქსიმუმ 10 სტუდენტის მიღებას, რადგან პროგრამის განხორციელების პერიოდი 2 წელია, შეგვიძლია გამოვთვალოთ შემდეგი ინდიკატორები, სტუდენტის პერსონალური თანაფარდობა: 1.25; სტუდენტი და ადგილობრივი აკადემიური პერსონალის თანაფარდობა: 2; სტუდენტისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა თანაფარდობა: 2; მოწვეული პერსონალი აკადემიურ პერსონალთან თანაფარდობა: 0.6. უნივერსიტეტს აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის წესები, რომელიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების მიხედვით, ამავე დროს აკადემიური პერსონალის დატვირთვას ყველა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ისინი ეწევიან დამატებით საქმიანობას. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან გაწევრიანების წესი, რომელიც განსაზღვრავს აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტ) წერილობით შეთანხმებას (აფილირების ხელშეკრულებას), რომ იგი ადასტურებს მის კუთვნილებას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მონაწილეობს უნივერსიტეტის სახელით საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარების პროცესში. უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია. გარდა ამისა, მისი გამოყენება პრაქტიკაში დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებით. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა

უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრად მიმდინარეობას და ასევე, მათი კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის და სხვა დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესრულებას. რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ/სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

